კვირა 1919 წ. აპრილის 6 № 77
წელიწადი მეხუთე

კვირა 1919 წ. აპრილის 6 № 77
ფასი თბილისში კროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა
9

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ედირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

10 აპრილს, 12 საათზე

ფაშნარის ძმათა სასაფლაოზე

ოზურგეთთან ოსმალებთან ბრძოლის დროს

დახოცილ მეომართა

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ საზოგადოებას ოზურგეთის ერობის გამგეობა და ძეგლის ამგები კომიტეტი

2—2280—1

კვირას 6 აპრილს

კნ. ნატალია დავითის ასული

ავალიშვილის

გარდაცვალებიდან ნახევარ წლის თავის შესრულების გამო გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე, რასაც აუწყებენ ქმარი ილია ნიკოლოზის ძე ავალიშვილი, დედა მარიამ და ძმა ვასილ ნიკოლოზის ძე ავალიშვილი. პანაშვიდის დასაწყისი დღის 12 საათზე მამა დავითის ეკლესიაში.

კვირას, 6 აპრილს

კნ. ბარბარე დავითის ასულის ბაგრატიონ-დავითიშვილის და კნ. ნატალია დავითის ასულის ავალიშვილის

გარდაცვალებიდან ნახევარ წლის შესრულების გამო გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი წმ. დავითის ეკლესიაში, რასაც აუწყებენ დედა კნ. იული ივანეს ასული ბაგრატიონისა, ქალიშვილი როდამ, ძმა ზაქარია ბაგრატიონი, დები ეკატერინე სულხანიშვილისა, ნინა ქიქოძე და ანასტასია ჯანდიერი ქმრებით.

პანაშვიდის დასაწყისი დღ. 12 ს. 1—2279—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო აუწყებს სტუდენტებსა და გარეშე საზოგადოებას, რომ განსვენებულ პროფესორის

იოსებ ყიფშიძის

საორმოცო პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, 6 აპრილს, დიდუბის ეკლესიაში წირვის შემდეგ. 1—2274—1

ალექსანდრა ილიას ასული მაჩაბლისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაუვიწყარ ძვირფასს მეუღლის პირველისა და მეორეთა მამის ცხინვალში გმირულად დაღუპულის

გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის

წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 6 აპრილს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება საფლავზე 1 საათზე.

2—2272—2

დედა ეკატერინე ტატოს ასული, ძმა მარტინ დავითის ძე, რძლები მარიამი და ნინო ხალიფოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 აპრილს გადახდილი იქნება პანაშვიდი რომანოვსკაში ვერაგულად მოკლული

წყალობ დავითის ძე ხალიფოვის

სულის მოსახსენებლად სომხის ჯიგრაშენის ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება წირვის შემდეგ მიცვალებულის გვამის რომანოვსკიდან ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(2—2271—2)

ღრმად დამწუხრებულნი და თავზარდაცემულნი მშობლები ზაქარია იაკობის ძე და სოფიო ქრისტეფორის ასული ნიჟარაძენი შვილებითურთ: მარიამითა და დომენტით გულდაწყვეტილნი გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ და მოულოდნელად დაკარგვას წინწკლებიანი სახადით თავის მოვალეობის ასრულების გამო—პირველთა საყვარელ შვილისა და მეორეთა ძმისა რკინის გზის ექიმის

დიმიტრი (ტიტო)

ნიჟარაძისი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე—ნაძალადევი ლოტკინის ქუჩა № 9. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 აპრილს, წმ. ნინოს სასაფლაოზე.

2—2273—2

ორს აპრილს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თავადი ალექსანდრე ივანეს ძე

ჯამბაკურ-ორბელიანი

რასაც ღრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მეუღლე მისი მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. ნიკოლოზის ქ. № 66. გასვენება ბინიდან სიონის ტაძარში კვირას 6 აპრილს დილის 9 ნახ. ს.

3—2268—3

რესტორანი **პარიზი** რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

◆◆◆ ფასები ზომიერია ◆◆◆

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—17 პატივისცემით: ს. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

ლეკურის კურსები

მ ს ა ხ ი ო ბ

ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-ე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 6-დან 7 საათ.

25—39—11

კვირას, აპრილის 6-ს, გაზ. „საქართველო“-ს რედაქციაში, საღამოს 5 საათზე დანიშნულია

ერ.-დემოკრ. ახალგაზრდათა საერთო კრება

ამ კრებაზე გაგრძელებული იქნება კამათი შესახებ წარსულ კვირას წაკითხულ მოხსენებისა: „ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა“.

ქართული კლუბი

კვირას, აპრილის 6-ს, დილ. 11 საათ. დანიშნულია კლუბის დარბაზში კლუბის წევრთა

წლიური კრება

კრების საგანია:

1. განხილვა და დამტკიცება 1918 წლ. ანგარიშისა და 1919 წლ. ხარჯთაღრიცხვისა. 2. მიმდინარე საკითხები. 3. არჩევნები: მამასახლისთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა, კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. კრება კანონიერად ჩაითვლება კლუბის წევრების § 29 ძალით, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

2—44—2

იყიდება

ოსმალური აგრეშუმის თესლი

სულ ახლა მოტანილა

კონსტანტინოპოლიდან

ცისამართი: პუშკინის ქ., ქარვასლა. კაფე—„გრეცია“. იკითხეთ ა. პანაიოტი.

4—2277—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 6 აპრილს, წარმოდგენილი იქნება

დ ი ლ ი თ: **ფაუსტი** || ს ა ღ ა მ ო თ ი: **გეიშა**

7 აპრილს „ევგენი ონეგინი“.

კავკასიის ერთა კონფერენციისათვის.

ბევრი რამ გამოირკვა კავკასიის ხალხებისთვის, მას აქეთ რაც ამიერ-კავკასიის კონფედერაცია დაირღვა და თითეული მათგანი თავისთვის შეუდგა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. იმ საგნობრივმა გაკვეთილმა, რომელიც თითეულმა მიიღო სინამდვილესთან თვის ძალღონისა და ზრახვების შეწონვის შემდეგ, აშკარა ჰყო, თუ ვის რაზედ უნდა აეღო ხელი. საერთოდ პრეტენზიები შეზომიერდა. სახელმწიფოებრივი გაწევა-გამოწევის პსიხოლოგია ჩადგა, გულისთქმანი დალაგდნენ, ურთიერთისთვის გასაგები შეიქმნა თუ ვის, რისი მოთხოვნის უფლება ჰქონდა და ვის რისი დათმობა შეეძლო. ორი საგანი იყო საკონფლიკტო: ერთი,—დამოუკიდებლობა, მეორე ტერიტორია. კავკასიის ერთაგან ზოგიერთი არ გულობდა კავკასიის ხალხების თვისთვისად დამოუკიდებელ არსებობას და მთელ თავის ენერგიას ამ დამოუკიდებლობის დამთავრებას ახმარდა. ზოგიერთიც ერის უდავო ტერიტორიას იჩემებდა და იარაღის საშუალებით მის დაპყრობას ახხორციელებდა. მისაღწევი მიზანი თიშავდა ამ ხალხებს და თითეული მათგანი განსხვავებულ ორიენტაციას იჭერდა. დღეს ორიენტაციის ხანა დასრულდა. ომი მორჩა და ფალავნებზე სანაძლეოს დადება საჭირო აღარ არის. განთავისუფლებულ ქვეყნების პრობლემას გადასჭრის ერთი შეთანხმებული ნებისყოფა—პარიზის კონფერენცია.

ამავე დროს ომიდან თითეული დამოუკიდებელ და თავისუფალ ხალხად გამოვიდა. ეს ორი გარემოება ბევრ კონფლიქტის მიზეზს ანელებს და სპობს.

ათი თვის ცალ-ცალკე დამოუკიდებელ არსებობისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ ტერიტორიული პრეტენზიებიც შეიკვეცა. ისტორიულ-სტრატეგიულმა პრინციპმა და საცილოცხლო აქტუალურმა ინტერესმა კავკასიის ხალხს თოფ-იარაღი აასხა და სამკვიდრებელის დასაცავად ერთმანეთს შეაჯახა. თავგანწირვის ენერგიამ და მსხვერპლის დაუზოგველობამ ცხად ჰყო თითეულის უფლებაც და გაუმართლებელი ძალმომრეობაც. ძალთა რეალურმა განწყობილებამ და აგრეთვე თავდადებული წინააღმდეგობის პერსპექტივამ ტერიტორიის კანონიერ მფლობელისაგან, თვის ჭკუაში ჩაახედა უმარილო პრეტენზიის ხალხი და შეაყენა. თუ სომხობა კიდევ განაგრძობს უსაბუთო პრეტენზიებს საქ. ტერიტორიის ზოგიერთ კუთხეზე, სამაგიეროთ თბილისსა და ზოგიერთ სხვა კუთხეზედ მისი ახირებული პრეტენზიები მოხსნილად უნდა ჩაითვალოს. ეს ახალი პსიხოლოგიური ვითარება ტერიტორიის საკითხში, აგრეთვე კონფლიქტის გამნელებელ ელემენტს წარმოადგენს. ყველა ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო და მოამწიფა კავკასიის რესპუბლიკათა საერთო კონფერენციის მოწვევის პრაქტიკული შესაძლოება. ყველა ეს ფაქტორები ამავე დროს გვიჩვენებენ, თუ რომელი საგანი წარმოადგენს შეთანხმება-სოლიდარობის ძირითად პირობას და რა პსიხოლოგიური ვითარება მიგვიყვანს ამ სასურველ დაბოლოებამდე. ასეთ საგნად რჩება ტერიტორიისა და საზღვრების საკითხი. საქართველომ იმ თავითვე დაიჭირა გარკვეული და ყოვლად მართებული პოზიცია: სხვისი არ მინდა ჩემსას არ მოგცემ. არც ერთი მეზობელი ერის არც ისტორიულ სამკვიდრებელზე და არც სტრატეგიულ პუნქტებზე თავის პრეტენზია საქართველოს არ განუცხადებია და მაშასადამე ტერიტორიულად არც ერთი მეზობელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესს არ შეხებია. ამგვარსავე მოპყრობას მოითხოვს საქართველო მეზობელ ხალხისაგან. სამწუხაროდ, საქართველოს მიმართ ამ პრინციპით არ ხელმძღვანელობენ. საქართველო კი ამ პოზიციაზე მტკიცედ სდგას. მომავალი კონფერენციის ბედი და ნაყოფიერობა ერთიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ლოიალურად იქნება დაცული ეს პრინციპი: სხვისი არ მინდა, ჩემი—მე.

დღეს საკმაოდ შეგრძნობილი უნდა ჰქონდესთ კავკასიის ხალხებს, თუ რამდენად საჭირო არიან ერთმანეთისთვის, რომ სხვისი ტერიტორიის დაჩემებით შეუძლებელი არ გახადონ ერთმანეთთან დაახლოვება და დიდი საერთო მიზნისათვის სოლიდარული მზადყოფნა. ვინატროთ, რომ ჩვენი ეს შეხედულება გამართლებულიყოს, ვიცხოვრებთ და ვნახავთ.

სკოლის რეორგანიზაციისათვის

განათლების სამინისტრომ ცხრა თვეში ვერ გამოიჩინა მიზანშეწონილი, ობიექტიური და აწონ-დაწონილი ინტენსიურ მუშაობის უნარი. პირობები კი მისთვის უფრო ნორმალური იყო, სანამ სხვა სამინისტროებისათვის. იმ დროს, როდესაც საქართველოს ცხოვრების ზღვა საშინელი შინაური და გარეგანი ქარიშხალის ზედგანლენით ბობოქრობდა და მრისხანედ ტალღებს ტალღებზე ისროდა, იმ დროს, როდესაც ცხოვრების ყოველ მხარეს საშიშარი მოუსვენრობა ეტყობოდა,—ამ დროს განათლების სფეროში, მის დაწესებულებებში და მსახურთა წრეში შედარებით სიწყნარე, დარბაისლობა, მოვალეობის შეგნება ჰსუფევდა. არც გარეშე მტერს და არც შინაგან მუხანათებს მის წინააღმდეგ საგრძნობი იერიშები არ მოუტანიათ.—მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, განათლების სამინისტროს მუშაობა მოდუნებულ—ტემპით სწარმოებდა. არც ერთხელ არ გადაუდგამს მას ცოცხალი და ორიგინალური ნაბიჯი. ძველებურ ტრაფარეტულ ცირკულიარულ ბრძანება-მოწერილობას არ გასცილებია მისი შემოქმედება. წვრილმანებში ნელდებოდა მისი ენერგია. ჩვენ არ ვაზვიადებთ. ავალაპარაკოთ უტყუარი ნამდვილი ფაქტები.

აი, მაგალითად, სამინისტრომ ვერ შექმნა სწავლა აღზრდის საქმისათვის საჭირო ცენტრალური აპარატები. მართალია, მან მოაწყო საბჭო,—ეს ფაქტიური გამგე და კანონმდებელი ორგანო სკოლისა,—მაგრამ ამ საბჭოს პერსონალური შემადგენლობა, მიუხედავად, შეიძლება, მათის ძველის დამსახურებისა, ნიჭიერებისა, აქტივობისა და პოლიტიკურის მოწიწოებისა, ვერ შეძლებდა თავისუფალ ქართულ სკოლის მოწყობას, ვერ დაუხატავდა მას სასურველს და სასარგებლო პერსპექტივებს, ვერ აღმოფხვრიდა ძირიანფესვიანად იმ ღვარძლს, რომელიც ძველმა რეჟიმმა უხვად დათესა სკოლის ნიადაგზე. მიზეზიო, იკითხამთ. გიპასუხებთ. ჯერ ერთი, ამ საბჭოში, განყენებულად რომ შევხედოთ, არ უნდა არსებულიყო იდეათა, მსოფლმხედველობათა, რწმენა-იმედთა და მოლოდინ-ნატვრათა ერთგვარობა და ნათესაობა. მეორე, საბჭოს წევრნი დატვირთულნი იყვნენ სხვა სხვა მოვალეობით და საქმეებით. ზოგი მათგანი რამოდენიმე დაწესებულებაში მსახურებდა. საბჭოში სამსახური მათთვის, უმთავრესად, პრესტიჟის, ავტორიტეტის საქმე იყო. მუშაობას, შრომას,

უკანასკნელი ცნობები

სარწმუნო წყაროების მიხედვით საზავო მოლაპარაკება მალე დასრულდება.

დანციგი საერთაშორისო ნავთსადგურად გამოცხადდა.

კლემანსოს მთავრობა ზავ-ხულის არჩევნებისთვის ემზადება.

ციმბირის ჯარმა შეტევა დაიწყო ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ბუკოვინის ყველა ქალაქებში საალყო წესები გამოცხადდა.

გერმანულ ავსტრიაში კომუნისტური მოძრაობა იზრდება.

დაუღალავ კვლევა-ძიებას, შემოქმედებას, რასაკვირველია, საბჭოში ადგილი არ ექნებოდა. ეს საბჭო, სჩანს, გადაიქცა ქართულ ჩვეულებრივ მოქანცულ— ინტელიგენტთა კრებად და საფეიქროთ. იგი ამავე დროს იყო სარეკომანდაციო ბიურო საადმინისტრაციო პირთა დასანიშნავათ. აი ამ ფუნქციას იგი პირნათლად ასრულებდა! არც ერთი საბჭოთა წევრების მეგობარ-თანამოაზრე, საყვარელი ყოფილ შეგირდი და თანამსახური, პარტიული ამხანაგი არ დარჩენილა გულნატკენი და უკმაყოფილო.

საგნიანი მუშაობის კვალიც თითქმის არ დარჩენილა სამინისტროს არქივებში. წარმოიდგინეთ, ისიც, რაც კომისარიატობის ხანაში გაკეთდა და შემუშავდა, ესეც არ ჩამოაყალიბა, საქმედ არ აქცია თავისუფალ საქართველოს სამინისტრომ. წინედ საგნობრივი კომისიების და სექციებისაგან დამუშავებულ პროგრამებიც დღემდის არ გამოქვეყნებულა.

მაგრამ შეიძლება, საბჭო პრაქტიკულად მუშაობდა, ცოცხალ საქმეს ხელმძღვანელობდა, თავს დასტრიალებდა და მამობრივ მზრუნველობას უწევდა გაეროვნებულ ქართულ სკოლას, პირადის გამოცდილებით, საქმის და საგნის ცოდნით უადვილებდა მასწავლებლებს ნაციონალიზაციის განხორციელებას, სანიმუშო გაკვეთილებს აძლევდა ქართულს ენაზე, პრესის საშუალებით აშუქებდა სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო პედაგოგიურ კითხვებს.

სამწუხაროდ ეს ასე არ იყო. ასეთი ცოცხალ საქმისთვის ვის სცალოდა; ან და მოცლაც რომ ყოფილიყო, ვინ აკადრებდა?! უფროს-ბრძანებლებს და უფლება-მოსილ პირთ მხოლოდ ფორმალურ და ბიუროკრატიული გემოს რევიზორობა შეშვენის! ამ ფსიქიკის ზედგავლენით და არა ცოცხალ ეროვნული საქმისათვის აქა-იქ კიდევაც მოხდა რევიზია თბილისის ზოგიერთ სასწავლებლებში.

ქუთაისში კი, როგორც ბევრნი ოხუნჯობით ამბობდნენ, გაემგზავრა მთელი „დამსჯელი ექსპედიცია“. რა მიზნით მოხდა ეს რევიზია, რა მიზანს მიახწია მან, ან რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდნენ მისი მწარმოებელნი, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით. მაგრამ თუ იმის მეასედიც მართალია, რაც ქუთათურ გაზეთებში დაბეჭდილია მომხდარ რევიზიის შესახებ, მაშინ შეიძლება მხოლოდ ერთი რამ უტყუარად ითქვას; ეს რევიზია იყო რუსულ ყაიდაზე წარმოებული, ძველებურ შეხედულებათა ზედგავლენით მოგვარებული. ასეთი რევიზიები, შეიძლება აპრიორულად ითქვას, ჩვენს ნორჩ ეროვნულ სკოლას სარგებლობას ვერ მოუტანს და მასში მოღვაწეებს ზნეობრივ-გონებრივ დახმარებას ვერ გაუწევს.

მე მესმის, რა უნდა განეცადა ნეტარ ხსენებულ ი. ოცხელს, როდესაც მის საყვარელ სკოლას სწორედ ასეთი რევიზია გაუკეთეს ამ განახლებულ დროს.

იპ. ვართაგავა.

მთავრობის წრეებში

27 მარტს მთავრობამ დაადგინა:

სატრანსპორტო საზოგად. წევრები.

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: 1) ნიკ. დეკანოზიშვილი და 2) ალ. ჯაფარიძე.

სოჭის ოლქის ადმინისტრაციის ლიკვიდაციისათვის.

პრინციპიალურად მთავრობა თანახმაა სოჭის ოლქის ყოფილ კომისრის შუამდგომლობა—30,000 მან. გაღების შესახებ ხსენებულ ოლქის ადმინისტრაციის ნაწილობრივი ლიკვიდაციის საჭიროებისათვის—დაკმაყოფილებულ იქმნას, მხოლოდ წინდადება მიეცეს მთხოვნელს მოელაპარაკოს ფინანსთა მინისტრს; შესაძლებელია თუ არა აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება სოჭის ოლქის საჭიროებისათვის გაღებულ თანხებიდან, თუ ვინიცობა ეს არ მოხერხდა—გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს სათანადო კრედიტი 10 მილიონიან ფონდიდან სოჭის ოლქის ადმინისტრაციის ნაწილობრივი ლიკვიდაციის საჭიროებისათვის.

ფინანსთა სამინისტრო და საბაჟოების მოხელენი.

სანამ დამფუძნებელი კრება განიხილავს კანონპროექტს მოწონებულს მთავრობის მიერ 1919 წ. 18 თებერვალს—მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება ყოველთვიურად გაიღოს 12 375 მანეთი, სამინისტროს კრედიტების ნაშთებიდან, საბაჟოს მოხელეთა, ფინანსთა სამინისტროს სხვა დაწესებულებების მოხელეებთან, ჯამაგირების მხრივ, გათანასწორების საჭიროებისათვის.

სამხედრო უწყებაში წინასწარი კონტროლი.

წინადადება მიეცეს სახელმწიფო კონტროლიორს, შეძლებისა და გვარად, დააწესოს სამხედრო უწყებაში წინასწარი კონტროლი.

სამხედრო საწყობიდან მომარ. კომ. საწყობ. გადატანა.

ის საქონელი, რომელიც სამხედრო სასურსათო საწყობში არსებობს და უწყებისათვის უვარგისია, გადაზიდულ იქნას მომარაგების კომიტეტის საწყობში და იქიდან გაიყიდოს.

ქალაქში მიწების დაგირავება-გაყიდვისათვის.

კანონ-პროექტი ქალაქებში მიწების დაგირავებისა და გაყიდვის დროებითი შეზღუდვისა მოწონებულ იქნას და წარედგინოს სასწრაფოდ.

დამფუძნებელ კრებას.

იმ გარანტიის გასანაღდებლად, რომელიც მისცა მთავრობამ სავაჭრო საზოგადოებამ, მის მიერ ნაკისრებ ვალდებულობის ასრულების უზრუნველსაყოფად, მოეთხოვოს ვოლგა-კამის სავაჭრო ბანკს, შეიტანოს სახელმწიფო ხაზინაში 250,000 მანეთი ორი კვირის განმავლობაში დღიდან განცხადების მიღებისა.

ქრონიკა

მთავარ კომიტეტის სხდომა ნაცვლად კვირასა შესდგება ორშაბათს.

◆ **კათალიკოზის წირვა.** სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ორშაბათს — ხარებობას — მწირველი ბრძანდება თავის სასახლის ეკლესიაში (ყოფილი საექსარხოსო ეკლესია).

◆ **შიკრიკი ოდესაში.** ამ მოკლე ხანში ოდესის ქართულ საზოგადოების შიკრიკი ბრუნდება ოდესაში. მიიღება ოდესის, ნოვოროსიის, ფეოდოსიის, იალტის და სევასტოპოლის წერილები, თბილისში შავი ქვის საბჭოში (გოლოვინის პროსპექტი № 19) 10—3 საათამდე, ქუთაისში ქალაქის თეატრის კასაში 10—2 ს., ფოთში პროვიზორ ალ. მდივანის აფთიაქში 10—2 ს., სოხუმში კოოპერატივ „ზარია“-ში სევასტი რამიშვილთან 9—1 ს.

◆ **სამძიმარი.** დამფუძნებელ კრების ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა და მთავარ კომიტეტის დავალებით მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას ვაჟი-შვილის გარდაცვალების გამო სამძიმარი გამოუცხადა გიორგი გვაზავამ.

◆ **სასწავლებელთა შტატის წარდგენა.** განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლად შემდეგ სკოლების შტატები: ხონის, ფოთის და ბორჯომის სამოხელოსნო სასწავლებელთა, თბილისის საფერშლო, სატეხნიკო და მიწადმზომელთა სასწავლებელთა.

◆ **აგრარულ კომისიის სხდომა.** ორშაბათს, საღამოს 6 საათისათვის დამფუძნებელ კრების აგრარულ კომისიის სხდომაა დანიშნული.

◆ **შაქრის დარიგებისათვის.** ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სასურსათო საბჭომ სათანადო ზომები მიიღო, რომ იმათ ვისაც ჯერ კიდევ იანვრის წილი შაქარი არ მიუღიათ, მომავალ კვირაში დაურიგდეთ.

◆ **თავდასხმა.** 4 აპრილს საღამოს 9 საათზე მამა-დავითის ქუჩაზე მიმავალ პ. კლიმიაშვილს თავს დაესხა 4 შეიარაღებული პირი და სიკვდილის მუქარით წაართვეს ფული და ძვირფასი ნივთები 6,000 მანეთისა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

◆ **პროფ. ჯავახიშვილის დაბრუნება.** ამ დღეებში სტამბოლიდან დაბრუნდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ამ დღეებში განაახლებს თავის ლექციების კითხვას.

◆ **საღამო უნივერსიტეტის სასარგებლოდ.** გუშინ, შაბათს, ქართულ კლუბში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობამ გამართა საღამო უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

◆ **ბოლშევიკების პროკლამაცია.** პარასკევ ღამეს ბოლშევიკებმა თბილისის ქუჩებზე უდიერი ენით დაწერილი პროკლამაციები გამოაკრეს. პროკლამაციებში აღნიშნავენ საქართველოს მთავრობის მიერ რეპრესიებს ბოლშევიკთა წინააღმდეგ და მოუწოდებენ ხალხს არ ჩამორჩეს ევროპის სოციალისტურ მოძრაობას.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6-ს საათზე სახალხო უნივერსიტეტის მე-5 განყოფილების გახსნა დანიშნულია კუკიის წმ. ნინოს უბნის სასწავლებლის შენობაში. ლექციები: ს. ყორყოლიანი საქართველოს მწერლობის ისტორია, ინჟ. ალშიბაია—„ელექტრონი და ორთქლმავალის ძალა“ და ექიმი ტურიაშვილი — „ხოლერაზე“.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტი.** მომავალ წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე განზრახულია გაიხსნას მესამე კურსი იმ შემთხვევაში, თუ ამის მსურველნი აღმოჩნდებიან 50 კაცამდე, არა უგვიანეს ერთი კვირისა. თხოვნას მიიღებენ ყოველ დღე სახელმწიფო უნივერსიტეტში საღამოს 5—7 საათამდე.

კრებები

◆ **ექიმთა კრება.** სამშაბათს, რვა აპრილს, საღამოს 7-ნახ. საათზე, მიხეილის სამკურნალოში მოხდება მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა. წესრიგი კრებისა: 1) სამეცნიერო მოხსენებები პრივატ-დოც. ა. ნ. ჯავახიშვილისა, ექ. მ. კილოსანიძისა და ექ. გ. მ. მუხაძისა; 2) მიმდინარე კითხვები.

◆ **საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების კრება.** მოვაგონებთ მკითხველებს რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ჩვეულებრივი საზოგადო კრება „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ (ოლღას ქ. № 40—ბინა კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტისა). კრების საგანია: 1) ს. გორგაძის მოხსენება ჩვენი ძველი საფილოსოფიო მწერლობის შესახებ; 2) ახალ წევრთა არჩევა და 3) მიმდინარე საქმეები. კრებაზე დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ.

◆ **აღმოსავ. საქ. სახ. სკოლ. მასწ. კრება.** ორშაბათს, 7 აპრილს, დღის 11 საათზე, წ. კ. გ. ს. ბინაზე (სასახლის ქუჩა) დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის კრება. განსახილველია საკითხი სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის მოწვევისა.

სამხატვრო ქრონიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს, 6 აპრილს, დილით: ფაუსტი და ვალპურგიის ღამე, საღამოთი საბანეევას მონაწილეობით გეიშა.

ორშაბათს 7 აპრილს, დასახიჩრებულ რუსის მხედართა დღე. ალეშკოს მონაწილეობით—ევგენი ონეგინი.

სამშაბათს, 8 აპრილს, საბანეევას მონაწილეობით—ტრავიატა.

არტისტიულ საზ. თეატრი. კვირას, 6 აპრილს დილით მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა წრის ფონდის გასაძლიერებლად მხიარული კომედია „ზნელი ლაქა“. საღამოთი ახალი კომედია—„დიდმშვენიერი“. 7 აპრილს, დილით—შერლოკ ხოლმსი. საღამოთი ორი კომედია—ქალი ორმოც წელში და—ქალი და ღვინო. სამშაბათს, 8 აპრილს, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ცნობილი პიესა: „პოსლედნაია ვოლია“. შაბათს, 12 აპრილს ცნობილი პიესა „ქალი კამელიებით“.

სახალხო სახლი. დღეს, სახ. სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ „ციმბირელი“.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ქუთაისი

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა იუსტიციის მინისტრს: „ხელოსანთა და წვრილ-მრეწველთა [illegible] მხრით და დუქნების პატრონთა შორის მეორე მხრივ მდგომარეობა გამწვავებულია. დამქირავებელთ ვადა გაუვიდათ, ახალ ფასზე ვერ შეთანხმდენ. თუმცა დამქირავებელნი მზად არიან მოუმატონ ასიდან—ორას პროცენტამდე. ამით არ კმაყოფილდებიან დუქნების პატრონები და სასამართლოს მიმართავენ ხოლმე. სასამართლოდან მიღებული აღმასრულებელი ფურცლებით ბოქაულები ხელოსნებს და წვრილ ვაჭარ-მრეწველთ აცლევინებენ სავაჭროებს და სახელოსნოებს. ქალაქის გამგეობა კი იძულებულია რეკვიზიციის ძალით უკანვე დაუბრუნოს მათ დუქნები. სახელოსნო სავაჭროების დაცლის დროს საქონლის გამოტანა იწვევს დიდ უსიამოვნებას, უნაყოფო ხარჯებს და არა სასურველ ექსცესებს. დამქირავებლის სახელით ვშუამდგომლობთ განკარგულება მოახდინოთ, რომ სასამართლოს ბოქაულებმა არ გამოატანინონ მათ დუქნებიდან საქონელი, რადგან იმავე წამში ქალაქის გამგეობის მიერ მოხდენილი რეკვიზიციის ძალით მათ ისევ ჩაბარდებათ ეს დუქნები და უკანვე შესატანი გაუხდებათ გამოტანილი საქონელი. გთხოვთ დაუყოვნებლივ განკარგულებას“.

—

ქუთაისის მაზრის ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობა დასრულდა კვირას, 30 მარტს.

—

ქუთაისის სამაზრო ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობამ მომრიგებელ მოსამართლეებად აირჩია; ლ. გრიგოლია, ე. არდიშვილი, ვ. ახვლედიანი, მ. გრიგოლაშვილი, კ. ქუთათელაძე, ა. ყაველაშვილი, ნ. აფხაიძე, და ა. ახვლედიანი.

—

ერობის გამგეობის მეოთხე და მეხუთე წევრებათ აირჩიეს (ს.-დ.) ა. პაპავა და (ს.-ფ.) მ. გავაშელი.

შემოქმედის მონასტრის გაძარცვა

ამას წინათ გურიაში გაძარცვეს—შემოქმედის მონასტერი. რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია სრულიად საქართველოში.

მძარცველების კვალს მაშინ ვერ მიაგნეს და ახლა ყველაფერი დაწვრილებით გამოირკვა.

მონასტრის გაძარცვაში მონაწილეობას იღებდნენ: ბერი ურუშაძე, აჭარელი ტაკიძე ბათუმიდან ჩამოსული რუსი მოწყალების დაი და სხვა მაჰმადიანები.

მძარცველები გასცა ტაკიძეს ცოლმა. ისინი ყველანი ბოლშევიკები არიან გარდა ბერისა. როგორც გამოტყ-

თმისაბმელა

სანდა უცნობ ქალს შეხვდა და შეჩერდა. პირი დააღო: ასეთი ჯერ არ ენახა. ქალმა ეს შენიშნა და კმაყოფილებით გაიღიმა, ეშმაკურად გადაავლო თვალი ვაჟსა და იქვე ახლოს გაშენებულ ფარჩეულობის დუქანში შევიდა. განგება ქნა, თორემ, ღმერთი-რჯული, სასყიდელი არაფერი ჰქონდა რა. სანდას ქალის ღიმილმა გული აუფორიაქა: იფიქრა მოვეწონეო. გაჩერდა მაღაზიის კარებთან და ლოდინი დაუწყო. კარგახანი უცადა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და თვითონაც დუქანში შევიდა. ნაწყენი დარჩა: ქალი იქ აღარ დახვდა: თურმე ნუ იტყვი, ის ეშმაკის კერძი მეორე კარით გასულიყო მეორე ქუჩაზე.

— მიბრძანეთ, რას ინებებთ?—შეეკითხე ნოქარი სანდას,—მოგართვათ?

— მე? შეეკითხა, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებულმა სანდამ და ჯიბეზე ხელი მოისვა: საფულე გაიშინჯა.—მე?—განიმეორა კიდევ და წამოწითლდა,—საფულე შინ დამრჩენია.

დარცხვენილი გამოვიდა გარეთ. იტყუა: საფულე ჯიბეში ჰქონდა, მაგრამ, მაგარი ეგ არის, რომ შიგ მარტო მანეთიანი ედვა.

სახლში რომ დაბრუნდა, თავის პატარა ფინია გაწკიპა. საწყალი ცუგასი რა ბრალი იყო? მაგრამ რას იზამ? ღმერთმა რომ დასწყევლოს კაცის ოხერი გული! თუ გარეთ ვინმე აწყენინა შინაურებზე იყრის ხოლმე ჯავრსა.

ძაღლი რომ გაწკიპა, ტახტს მიაშურა, რაც კი ზედ-მეტი რამ ეწყო სულ ძირს გადმოყარა და ისე წამოწვა. ტახტმაც იგემა პატრონის უგუნებობა და ჭრაჭუნი ასტეხა.

მთელი ღამე სანდამ მოუსვენრად გაატარა: უცნობი ქალს სხვა და სხვა სახით მოვლენილი ლანდები აღიზიანებდნენ. მხოლოდ გათენებისას დახუჭა თვალები.

ძილშიც ვერ მოისვენა: რაღაც რახუნი შემოესმა და იგრძნო, რომ სადღაც უფსკრულისაკენ მიექანებოდა. შეშინებულმა თვალები გააჭყიტა: მზეს შემოეჭყრიტა ოთახში და იქაურობას ზვერავდა. ზეზე წამოვარდა და რა დაინახა: საბრალო ტახტს პატრონის ცოდვით ორი ფეხი გამოჰვარდნოდა.

გულაღრენილი წავიდა სამსახურში: ფოსტის მოხელე იყო, მარკებსა ჰყიდდა.

— აა! სანდა! სანდა!—მიეგებნენ მხიარულად ამხანაგები.

პასუხი არ გაუცია ისე მიუჯდა თავის მაგიდას. მარკების ამოღება დაიწყო,

— ორ-შაურიანი მარკა მიბოძეთ!—მოესმა თავ-ჩაღუნულ სანდას ხმა.

აიხედა და დაიბნა: გუშინდელი ბანოვანი მოსულიყო მარკის საყიდლად.

— ორ-შაურიანი მარკა!—გაუმეორა ქალმა.

სანდას ქალისთვის არ მოუშორებია თვალი, ზეპირად მოაგლიჯა მარკა და ისე გამოაწოდა გადაღობილს ფანჯრიდან.

— მე ორ-შაურიანი მარკა გთხოვეთ, თქვენ კი მანეთიანს მაძლევთ.— უთხრა ქალმა.

— უკაცრავად, უკაცრავად!—მოიბოდიშა სანდამ და ახლა სხვა მარკა მოგლიჯა ზეპირად.

— ეს ხომ ორ-აბაზიანია,—წამოიძახა მოთმინება-დაკარგულმა ქალმა.

ეხლა კი იკადრა სანდამ თავის დაღება დახედა მარკებს და ორშაურიანი მარკა მოგლიჯა.

ქალმა შუბლშეკვრით გამოართვა მარკა, დააკრა კონვერტს, სწრაფად მიტრიალდა ფოსტის ყუთისაკენ და რახუნით ჩაუძახა შიგ წერილი. ჩარახუნებასთან ერთად თავიდან თმისაბმელა გადმოვარდა. ქალმა რახუნში ვერა გაიგო რა და ისე გავიდა გარეთ. სანდამ დაინახა, გამოვარდა ელვასავით გადაღობილიდან და სტაცა თმისაბმელას ხელი.

— ყმაწვილო, მელანი დაგეღვარა!—დაუძახა ამხანაგმა.

მაგრამ სანდას არ გაუგონია, თავშიშველი გავარდა გარეთ და თმისაბმელას პატრონს გამოეკიდა, ნივთი შემკული იყო პატიოსანი თვლებით და იცოდა, რომ ქალი უთუოდ ძებნას დაუწყებდა. დიდხანს არ მოუნდა სირბილი. ქალი შორს არ წასულიყო, ფოსტის მახლობლად იდგა და დანაკარგს ეძებდა შეწუხებულის სახით.

— თმისაბმელას დაეძებს, თმისაბმელას!—სთქვა აღტაცებით გულში სანდამ,—შემთხვევა მეძლევა გავიცნო და მერე..

წამს სანდამ წარმოიდგინა ის წუთები. როდესაც ქალი მადლობას ეტყოდა, როდესაც სახლშიაც მოიწვევდა, დაახლოვდებოდნენ, ნელ-ნელა გაიბმოდა სიყვარულის ქსელი და მერე ეკლესიაშიც გაჩნდებოდნენ ორნივე ანთებულის კელაპტრებით. რა ბედნიერი იქნებოდა სანდა! სიყვარული, ლამაზი ცოლი და ამასთანავე დიდი მდიდარი!—ამას თმისაბმელაც ამტკიცებდა—და მერე განცხრომით ცხოვრება...

— ჩემი თმისაბმელა! — წამოიძახა გახარებულმა პატრონმა და სახით ულრუბლო ცას დაემსგავსა.

სანდას გულში ნათელი ჩაესვენა. დიდის ამბით გადააწოდა ნაპოვნი ნივთი.

— მე, ბატონო, მუდამ მზადა ვარ გემსახუროთ!—მოახსენა მედიდურად ბანოვანსა.

— სად გიპოვნიათ?—შეეკითხა ცნობის მოყვარეობით ქალი.

— ბატონო, წერილი რომ ჩააგდეთ, იქვე გადმოგივარდათ, დავინახე და გამოვიჭერ გადაღობილიდან. მაშინვე თქვენკენ გამოვექანე.

— ოო! რა მადლობელი ვარ! რა მადლობელი! — წარმოსთქვა ქალმა წარბების აჭიმვით.—სახსოვარია!

სანდამ ყურები ცქვიტა: სახსოვარიაო? გაიმეორა გულში და დასძინა, ალბად ან მდიდარმა მამიდამ, ან დეიდამ, ან სხვა მაგისთანა ვინმემ, ვისაც ამისთანა შემთხვევაში ბევრი ფული აქვს ხოლმე, იმან თუ უსახსოვრა? სიამოვნებით ჩაიცინა კოკობ ულვაშებში. ძალიან დორანში ჩავვარდებით. მამიდა მდიდარი! დეიდა მდიდარი! ალბად ბიძაც ეყოლება, რასაკვირველია მდიდარი! მამა ხომ, აბა რაღა თქმა უნდა, უსათუოდ მდიდარი იქნება და აბა ვის დარჩება ყველა ეს თუ მე და ჩემს ცოლს არა?.. ყველანი უსათუოდ უშვილონი იქნებიან.

სანდას გონება სწრაფად მუშაობდა. ყველაფერი ეს რომანებში ჰქონდა წაკითხული და რათ გაუჭირდებოდა გახსენება?

— შემოიარეთ ჩვენსა, ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი!—სთხოვა ქალმა,თქვენი თავაზიანობა პირდაპირ საარაკოა!

სანდა სიხარულით ცას დაეწია. ცოტა გაწყდა ქალს კაბის კალთაზე არ აკოცა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ბატონო, რა თავაზიანობაა ეგა? —მოახსენა თავის დალუნვით. ყველა კაცი მოვალეა პატრონს ნივთი დაუბრუნოს.

— არა, ყმაწვილო, არა! თქვენ გაქვთ უთუოდ აგეთი გული,—გამოეკამათა ქალი,—თორემ ბევრი... აი ეს სულ ალმასებია!—შეცვალა უცბად ლაპარაკი,—რა რიგ გაუხარდება მიშოს!

— მაშ ბიძას უთავაზნია!—გაიფიქრა სანდამ.

— უთუოდ შემოისეირეთ! აი თუ გინდ კვირას?—უთხრა ქალმა,—ჩემ ქმარს გაგაცნობთ.

ლახვარივით ეცა სანდას ეს სიტყვები. ვერც კი იგრძნო როგორ ჩამოართვა ქალმა ხელი და როგორ განშორდა. კინწმოწყვეტილი დაუბრუნდა თავის სამსახურს. მაგიდას რომ მიუახლოვდა, თავზარი დაეცა. თითქმის ყველა გასაყიდი მარკები მელანში განბანილიყვნენ.

— ვინ ქნა, კაცო ესა!—შეეკითხა ახლო მდგომს ამხანაგს.

— შენ გიჟი თუ ხარ, მითხარი?— შეუტია ამხანაგმა.—შენ თვითონ არ დაღვარე, აი ფეთიანივით რომ წამოვარდი, მაშინ? დაგიძახე კიდეც, როცა გარეთ გარბოდი.

გულდათუთქული მიუჯდა სანდა მაგიდასა. მოიბუზა, მოიკუზა. ასი თუმნის მარკა მაინც იქნებოდა გაფუჭებული. ამოდენა ფული სულ თვითონ უნდა გადაეხადნა! მერე რითი? იმ საცოდავი ორიოდე გროშით, რომელიც მანეთობრივ შეაგროვა

— ვა! რა გადარეგბს?—უთხრა ამხანაგმა დაცინვით.—ე, ასი თუმანი ხომ გაქვს ბანკში, ვერ გადიხდი? კიდევ რამოდენიმე თუმანი დაგრჩება. ან ნახე ე მარკები, იქნება გამოირჩეს რამე?

სანდას არ გაუგონია ამხანაგის სიტყვები. არც შეუნიშნავს სხვა მეზობელ მოხელეების ღიმილი. თავჩაღუნული გასწია შინისაკენ. ტროტუარზე რაღასაც ფეხი წამოჰკრა. დაიცქერდა კიდევ ვიღასაც დაჰკარგოდა. თმისაბმელა, გაბრაზებულმა ფეხი დაჰკრა და ლუკმა-ლუკმა აქცია. სულ თქვენ ჰლუპავთ ხალხსა, რომ ჰლუპავთო!.. მოგეხსენებათ ტროტუარზე ხშირად სცვივათ ხოლმე ქალებს თმისაბმელები, ძვირფასებიც და დაბალ-ფასებიანიც. სანდამ ერთი ექვსს მაინც შეასწორო თვალი. ერთიც არ გაუშვა დაუძეწკავი და დაუმსხვრეველი. მზად იყო, მთელი ქვეყნის თმისაბმელები მოეგროვნა და მოესპო. კალიგულას ამბავი რომ სცოდნოდა, ინატრიდა, ნეტა ყველა თმისაბმელები ერთ თმისაბმელად იქცეს და ერთბაშად დამამტვრევინაო.

შინ რომ მოვიდა, დიასახლისი კარებში დაჰხვდა. სახლის ქირა სთხოვა. სანდამ თავში თმისაბმელები დაუნახა, სწვდა, სულ დაამრო და დაამტვრია. ეზოში ყვირილი გაისმა: გაგიჟდა! გაგიჟდა! მიშველეთო!—იძახდა დიასახლისი.

სანდა ოთახში შევიდა და ტახტს დაეხეთქა: საცოდავს ავეჯს არც კი დაუჭრაჭუნია რიგიანად ისე დაჰკარგა თავისი დანარჩენი, ორი ფეხიც. თუ რამ დაირახუნა ისევ ძალზე დახეთქებულმა სანდას ტანმა.

— აი, ბატონო, როგორ იყო!—შემოიჭრა სანდას ოთახში დიასახლისის სიტყვები,—ქირა ვთხოვე, მომეცი-მეთქი. ღმერთი! რჯული! თუ მაგაზე მეტი მეთქვას რამე, ეშმაკის კერძი გავხდე. ეგ კი მომვარდა, ჩემო ბატონო და თმისაბმელები ხომ სულ დამილეწა და დამილეწა, ახლა ჩემი დათრევა მოინდომა თმებითა.

აქ კი რასაკვირველია დიასახლისმა ზედმეტი სთქვა ცოტა, მაგრამ წესია.

პოლიციელი სანდას ოთახში გაჩნდა, თან დიასახლისიც შემოჰყვა.

— უნდა დაგაპატიმროთ ქალის შეურაცხყოფისათვის გაისმა მტკიცედ წარმოთქმული სიტყვები.

სანდა არ გაინძრა.

—ყმაწვილო, თქვენ გელაპარაკებით! უთხრა პოლიციელმა ხელით და გაანჯღრია.

— უი! გადაცვლილა!—წამოიძახა შეშინებულმა დიასახლისმა.

ექიმის შემოწმებით აღმოჩნდა, რომ სანდას საფეთქელი მიერტყა კედლისათვის და ისე გამოსალმებოდა წუთისოფელსა.

ინ—ზანი

დნენ ტაძრის მთელი სიმდიდრე 30 მილიონ მანეთად ღირებული: პატიოსან თვლებით მოოჭვილი მიტრა, ძველი ხატები ნიოკროქსოვილები სულ ჩაუტანიათ ბათუმს და იქიდან ოსმალეთში გაუგზავნიათ.

დამნაშავენი ყველანი შეპყრობილები არიან. მიღებულია ზომები დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად.

ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანი

დღეს მიწას მიაბარებენ ალექსანდრე ივანეს ძის ჯამბაკურ-ორბელიანის ცხედარს.

სამშობლო მიწა გულში ჩაიკრავს უჩინარს მუშაკს ჩვენის საზოგადოებრივობისას, ვისი კეთილი გული და უხვი ხელი არ მოჰკლებია არც ერთს საზოგადო საქმეს, ვინც მუდამ და ყოველთვის მზად იყო რითაც შეეძლო ხელი შეეწყო სამშობლოს საკეთილო დასაწყისისათვის.

იგი არ იყო დიდის მასშტაბის და ფართო საზოგადოებრივის ინიციატივის მოღვაწე.

კეთილშობილი ჩუმი, უწყინარი, სათნოებით სავსე ადამიანი—იგი უფრო გაჩენილი იყო კერძო ქველმოქმედებისათვის...

მაგრამ იქ, სადაც მას ბედმა არგუნა დიდის საქმის სათავეში დგომა, საშიკო ორბელიანის ბუნებრივ სისპეტაკემ და მამულისშვილობამ იჩინა თავი, იგი არ შედრკა, გაბედული, დიდის საზოგადოებრივის მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა არ შეუშინდა მისს შედეგებს...

საშიკო—ორბელიანის თავმჯდომარეობით გაიმართა 1905 წლის შემოდგომაზე ისტორიული საგანგებო კრება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა, როდესაც პირველად ითქვა პოლიტიკური სიტყვა რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ დამონებულ ქართველის ერისა, განცხადებულ იქმნა პოლიტიკური უფლებანი საქართველოისა.

და ამ ნაბიჯისთვის მუდამ მადლობით მოიხსენიებს საშიკო ორბელიანის სახელს პოლიტიკურად მოაზროვნე ქართველობა.

კურთხევით მოიგონებს საშიკოს ხსოვნას ქართლის გლეხობაც, განსვენებულის მრავალრიცხოვანი ნაყმევნი, ვისთვისაც იგი „მებატონე“ კი არ იყო, არამედ კეთილი მზრუნველი და პატიოსანი, ჭირში და ლხინში მოზიარე, უხვი შემწირველი, დამწყები და განმახორციელებელი მრავალ საზოგადო საქმისა, როგორც ბანკი, კოოპერატივი, წყალსადენი და სხვა...

სიყვარულით მოიხსენიებს საქართველოს სამღვდელოებაც რომლის შავბნელ დღეებში იგი მისთვის ხმას აღიმაღლებდა.

გულწრფელს შენდობას ეტყვის მას ყველა, ვინც იცნობდა, ვისაც მასთან საქმე ჰქონია, უგრძვნია სითბო მისი გულისა და სიფაქიზე მისი არსებობისა...

შეუპოვარი.

აჯანყებული ტრადიცია

რუსეთის რევოლიუცია ჩვენს სამშობლოში შემოსვლისთანავე წითელ მახვილით პირველად რელიგიას ერგება.

გურიამ პირველმა აღიმაღლა ხმა ეკლესიის წინააღმდეგ.

გურიამ სამღვდელოების დევნას მიაყოლა უძველესი ტრადიციის დანგრევა.

მიცვალებულთა დაკრძალვა ქრისტიანულის წესით.

მაგრამ ბუნება უმაღლესია, ვიდრე მასსიური გაოგნება, მოწერის აღრევა.

და სწორედ იმ დროს, როდესაც გახელებული მასსა ღრანცალით და მარტოოდენ „მარსელიოზის“ სიმღერით და თოფების ხათქა ხუთქით მიაცილებდნენ თავ-თავიანთს მიცვალებულთა, ხალხის გამოფოლადებული ბელადი, კარლო ჩხეიძე უდროოდ დაკარგულ ვაჟს შიშველი თავით და უზომო მწუხარებით დაზიდული სამშობლოს გულზე მისაბარებლად ისტუმრებს და აკრძალვინებს სამღვდელოების წინამძღვრობით, როგორც ამას მოითხოვდა მამაპაპათა ქალარა მოსილი ტრადიცია.

განცდის წელნი გავლიეს და, მიუხედავად კარლო ჩხეიძის კეთილშობილური მაგალითისა, ჩვენი ხალხის წარმომადგენლებმა დასტური დასცეს ეკლესიის თითქმის სრულს მოსპობას. თვით დარბაისელ და აუჩქარებელ ქართლისთვისაც კი მიმბაძველობის მაგალითად გარდაიქცა გურიაში მომხდარი ამბები. აქაც გახშირდა მიცვალებულთა უმღვდლოდ დაკრძალვა. აქაც დიდს განვითარებას და თითქმის სოციალიზმის მიღწევას ჰხედავდნენ მიცვალეულთა უანდერძოდ დამარხვაში, თითქოს ეს ასე აუცილებელი ყოფილიყოს კაცობრიობის პროგრესისთვის.

გურია ქართლს აღარც კახეთი ჩამორჩა.

არ ჩამორჩნენ დანარჩენნი კუთხენი ჩვენი ქვეყნისანი, მაგრამ... აი ახალი შემთხვევა, შემთხვევა ფრიად სამწუხარო:

ჩვენი ერის დღევანდელს ბელადს ნოე ჟორდანიას, ვის სიტყვასაც ყველანი ისე ემორჩილებიან, როგორც ფაკირს ჯადოსნურ კვერთხის ათამაშების დროს, უწყალო ბედი გამოსტაცებს უსაყვარლესს პირმშოს—ანდრიას. მოსალოდნელი იყო, რომ შავი ყვავილებით მორთულ მის პირმშოს სარეცელს აღარ შეესმოდა საეკლესიო გალობა, მოსალოდნელი იყო, რომ მშობელთა ვაებას მხოლოდ სამხედრო სალიუტით გაუმასპინძლდებოდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ასგზით წელში მოხრილი დამწუხრებული მამა მამათა ტრადიციის აღმასრულებელ ქურუმად გამოდის და ისევე იწყნარებს და საჭიროდ სთვლის მღვდელ მსახურების შესრულებას, როგორც მისი თანამშრომელი და მაზე წინად დამწუხრებული ამხანაგი კარლო ჩხეიძე.

ფრიად დამაფიქრებელია ეს ამბავი.

კარლო ჩხეიძე და ნოე ჟორდანია...

იმათი კეთილშობილური საქციელი საზოგადო ზნეობრივ სიკოტრის დროს, ეს ხომ ნამდვილი ძახილია, უსაშუალო ფაქიზი სულის, რომელსაც არავითარი, ნიადაგი არა აქვს ჩამოფარებული!

დამწუხრებული ფიგურა უსაყვარელ შვილის დამკარგველ მამისა, ეს ხომ თვით ერის სულის ძახილია, რომელსაც განწირულებით ჩაჰბღაუჭებია ნაჯახ დარტყმული და წატორტმანებული მამათა ტრადიცია, რომელიც წამოწევისთანავე აჯანყებულია და თავის დაკარგულ ადგილის დაჭერას მოითხოვს ჩვენს ცხოვრებაში!

გულწრფელ და ულრმეს სამძიმრით ვეგებებით მწუხარე მამას.

ჩვენი სურვილია, რომ ის გრძნობანი, რომელთაც შეუძლიან შვება მისცენ მას, ერის კოლექტიურ გრძნობად გარდაქცეულიყოს უმშვენიერეს ტრადიციის აღსადგენათ და პატივსაცემად, ეს იმ ტრადიციის პატივსაცემად, რომელიც საუკუნეთა სარბიელზე ესეოდენ ნუგეში იყო საქრისტიანო საქართველოს შვილებისათვის...

დ. კახრაძე.

რკინის გზის ამბები.

მგონი, სამახარობლო მერგება.

ხმებია, ინგლისელებს გადაწყვეტილი აქვთ რკ. გზა ნატანებიდან ბათუმამდე საქართველოს მისცენო. ნეტავ ასე! ნეტავი ხვალ უეცრად ახალმა პოლიტიკურ ქარმა არ დაუბეროს და ხმები სინამდვილედ იქცეს! იმისთანა გაჭირებაშია დღეს მგზავრი და საქონლის მზიდველი, რომ თუ ასე გაგრძელდა, სრულიად მოისპობა ბათუმთან დამოკიდებულება. თავისუფლად მარტო ინგლისელების ჯარი და საქონელი დადის. სხვა კი ყველაფერი ნატანებამდე უნდა მივიდეს და იქ—ხელმეორედ ბილეთების აღება, ისიც ქობულეთამდე, ან ახალი დოკუმენტების შედგენა და სხ. საქონელს პატრონიც თან უნდა სდევდეს, თორემ ნატანებში ჩარჩება.

ვინ იქნება სოლომონ ბრძენი, რომ საბოლოოდ გადასწყვიტოს, რა უფრო სასარგებლოა საქმის კეთილად გასაძღოლად. ვიწრო ფარგლებში დახელოვნებული აგენტი, თუ ყველაფრის მცოდნე რკ. გზის ენციკლოპედისტის მეცნიერებამ, მრეწველობამ ეს კითხვა დიდი ხანია გადასწყვიტა; ჩვენ კი დღესაც ვერ გადაგვიწყვეტია. შარშან იმ აზრისა ვიყავით, რომ ვიწრო ფარგლებში დახელოვნებული აგენტი სჯობიათ და სურვილი გამოვაცხადეთ, ყველა განყოფილების ანგარიშები ბუღალტერიაში შეგვეკრიბა, საქმეც უკეთ წავა და მოსამსახურეთა რიცხვიც შემცირდებაო. წლეულს კი ბრძანება გასცეს, ყველა განყოფილებამ თითონ აძლიოს თავის მოსამსახურეებს უფასო ბილეთებიო. აქამდე ბილეთებს (გარდა სასურსათოსი და ჩვენ გზაზედ სამგზავროდ) გზის უფროსის კანცელარია აძლევდა (წლიური, სასეზონო და სხვა გზებზედ). ერთს კაცს ებარა საქმე, სპეციალურად იცოდა ყოველი წესი და, თუ შესცდებოდა, ნებსით და არა უნებლიეთ. დღეს ერთის საქმე ათს—თორმეტს უნდა ჩაჰბარდეს, თავის საკუთარ საქმის დამატებად და რაღა თქმა უნდა, ისე ვერ გაუძღვებიან, როგორც ერთი უძლვებოდა. თუ აქამდე ნებსითი შეცდომები იყო, ახლა უნებლიე იქნება და რომ ეს არ მოხდეს, განყოფილების უფროსი უნდა ჩაუჯდეს ბილეთების გაცემის წესების შესწავლას, რადგან ბილეთზედ ხელს ის აწერს, არა ბილეთის გამომწერი. მაგრამ ტელეგრაფის უფროსი უნდა სცდებოდეს იმ საგნის შესწავლაზედ, რომელიც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმის მოვალეობასთან, თითქო თავისი საქმე არ ეყოფოდეს საფიქრებლად და საზრუნავად.

გინდა თუ არა, ენციკლოპედისტი უნდა იყვეო.

იყო და არა იყო რა, შავრაზმელზედ უსაზიზღრესი რა იქნებოდა, იყო ორი შავრაზმელი. ერთს კორნიშონ ტატიშჩევი ერქვა, მეორეს რაღაც ვასილიევი. ერთს სადღაც არხიტექტორის დიპლომი ეშოვნა, მეორეს ფერშლისა ერთი რკ. გზის სამსახურში იყო, მეორე რკ. გზის მწველელი. შრომას არა კადრულობდნენ, რადგან ღვარძლის დ ცილისწამების გავრცელებით უფრო მეტს იგებდნენ. თუ ხატისოვის თაყვანის მცემელი დუნდუკოვი კაცი იყო სადმე, ისინიც არა ნაკლებნი იყვნენ. რომ უფრო მეტად გაევრცელებინათ ქართველთადმი ზიზღი და სიძულვილი გაზეთსა ბეჭდავდნენ და გაზეთის საშუალებით ქადაგებდნენ ჩვენს ამოჟლეტას. და ეს გაზეთი უმთავრესად რკ. გზის ფულით იბეჭდებოდა, იმ ფულით, რომელსაც გაზეთი რკ. გზის განცხადებების ბეჭდვაში იღებდა. ბევრი უთხრეს მაშინდელ რკ. გზის უფროსებს (არა ერთს),—განცხადება მარტო „კავკაზში“ უნდა იბეჭდებოდესო,—ვერა გააგონეს-რა ან რას გააგონებდნენ, როდესაც შავრაზმელებისა იყო მაშინ ბურთი და მოედანი.

რევოლიუციის დაწყება და კორნიშონ ტატისჩევის გაპარვა ერთი იყო.

ვიღაც ვასილიევი კი დღესაც აქა ბრძანდება. თამამად დადის თავის და კარგულ სამფლობელს დედა-ქალაქში და, ვინ იცის, რას გვიქადის.

რას უნდა უქადდეს მუმლი მუხასაო?

მაგრამ განა შავრაზმელი მუმლად იქცევა' ისიც დამარცხებული?!

რატომ არავინ ურჩევს ველურ-ქართველობის გასანათლებლად მოთრეულ ფერშალ - პუბლიცისტს, ახლა თავის კულტუროსან, განათლებულ ქვეყანას მიხედოს? რევოლიუციამდე ჩვენ, მხეცთა შორის, რუსის ჯარები ჰყავდა მფარველად. ახლა? ხომ ხედავს, მხეცებმა თავისუფლება მოიპოვეს და ერთიც ვნახოთ „განათლებულადა“ მოექცნენ და ის აუსრულეს, რასაც ქადაგებდა?! რატომ არ წავა? იქნება, ბრძანებას ელის?

რკინისგზელი.

ყარსში

ინგლის-ოსმალთა შეტაკება

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობით 24 მარტს ყარსში ინგლისელებსა და ოსმალებს შორის მომხდარა შეტაკება, რომელიც გამოუწვევია შემდეგ გარემოებას. ოსმალებს არ გაუშვიათ ინგლისელების ხორბლით დატვირთული ვაგონები გუმბრში.

ოსმალების მხრივ მოკლულია 3 კაცი, ინგლისელებმა ხორბალი მაინც წაიღეს.

ოსმალების რუსებზე თავდასხმა

ყარსში 24 მარტს ოსმალები თავს დაესხენ რუს მილიციონერებს და ასამდე ვინტოვკა წაიღეს.

ინგლისელებმა წინადადება მისცა მათ 6 საათის განმავლობაში წაღებული ვინტოვკები უკანვე დააბრუნონ.

სომხეთში

შეტაკება მაჰმადიანთა და ინგლისელთა შორის.

24 მარტს, ყარსში შეტაკება მომხდარა ინგლისელებსა და ოსმალებს შორის. ეს შეტაკება გამოუწვევია იმ მიზეზს რომ ოსმალებს ნება არ მიუციათ ინგლისელებისთვის ხორბლით დატვირთული ვაგონები გუმბრში გაეგზავნათ. მაჰმადიანთაგან სამი კაცი მოიკლა. ბოლოს ინგლისელებმა ხორბალი ქ. გუმბრში მაინც გაგზავნეს.

იმავე დღისით მაჰმადიანები დაეცნენ რუს მილიციონერებს და 100 ვინტოვკა წაართვეს.

გუმბრში

გუმბრში დღეს დიდძალი ლტოლვილობაა თავმოყრილი ლტოლვილები ყაზარმებში ცხოვრობენ. ეძლევათ დღეში ნახევარ გირვანქა პური და ცხელი წყალი. ქალაქის მცხოვრებლებს აძლევენ დღეში $^{1}/_{4}$ გირ. პურს.

გირვანქას 2 მან. 60 კაპ. კვალობაზე. ამ გარემოება გამოიწვია ახლო-მახლო სოფლებიდან დამშეულ გლეხობის მოგროვება. დღეს გუმბრში 15 ათასი ლტოლვილია შეკრებილი. როგორც ქალაქი ისე სოფელი დღეს დიდ სასურსათო კრიზისს განიცდის.

შეტაკება სოფ. ზოდში

სარწმუნო წყაროების მიხედვით აზერბაიჯანიდან სოფელ ზოდში გადმოსულა 800 შეიარაღებული მხედარი რათა ადგილობრივ მაჰმადიანობას სამხედრო მოქმედებაში დახმარება აღმოუჩინონ.

ბოლშევიკები ჰოლანდიაში

„Matin“-ის ცნობით ჰოლანდიის მთავრობაც უკიდურეს ზომებს იღებს ბოლშევიკურ პროპაგანდის წინააღმდეგ რომელმაც სერიოზული სახე მიიღო ჰოლანდიაში.

ამ პროპაგანდას ბელადობას უწევდა რუსი ჟურნალისტი შელგუნოვი, რომელიც ჰმოქმედობდა ჰოლონდიელ რევოლუციონერ ვანკროპობთან შეთანხმებით და რომელმაც როტტერდამში გერმანიიდან დაბრუნებულ რუსის სამხედრო ტყვეებისთვის სააგენტო მოაწყონ.

სააგენტო ცდილობდა ტყვეები როგორმე შეეჩერებინა და ამისთვის ფულს არა ჰზოგავდა.

მოხდა აჯანყება როტტერდამში ჰოლანდიურ პოლიციამ დააპატიმრა შელგუნოვი მისი შვილი აგრეთვე რამდენიმე უცხო პირი რუსები და გერმანელები.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

5 აპრილი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

ნაუენი, აპრილის 3. დანციგში და მოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების დიდ მიტინგზე მიიღეს ერთხმათ საპროტესტო რეზოლიუცია გერმანიის ტერიტორიის ჰოლონეთზე გადაცემის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში დამოუკიდებლები აცხადებენ, საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ჩვენ ვამხედრებთ საერთაშორისო პროლეტარიატს. თუ მოკავშირე სახელმწიფოები თავისი მტაცებლობით პოლიტიკას დაიცავენ შემდეგშიც, მაშინ ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ მივმართოთ მოწოდებით მთელი ევროპის პროლეტარიატს დაამხონ კაპიტალისტური მთავრობა.

ბუდაპეშტი. აპრილის 3. ავსტრიის ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს გერმანულ-ავსტრიაში კომუნისტურ მოძრაობის ზრდას.

კიევი, აპრ. 2. ბუდაპეშტი ამ ჟამათ ცენტრია ევროპის პროლეტარიატის მოძრაობისა. ბუდაპეშტში მოვიდენ დასავლეთ ევროპის მუშების მრავალი წარმომადგენელნი შეერთებულ და შეთანხმებითი მოქმედებისთვის სათათბიროთ.

კიევი, აპრ. 2. ბუკოვინაში რუმინელთა სიმკაცრეს საზღვარი არა აქვს. ყველა მაზრებს სადაც აჯანყება მოხდა, კონტრიბუცია დაადევს. ბუკოვინის ყველა ქალაქებში საალყო წესებია გამოცხადებული.

რიგა, აპრ. 4. თეთრგვარდიელებმა ესტლანდიის და ლიფლიანდიის დაპყრილ ადგილებში ხოცვა ჟლეტა დაიწყეს. პერნოვის ციხე სავსეა დატყვევებულებით. ფრონტზე დამარცხების შემდეგ თეთრთა ტერორი იზრდება. დახვრიტეს ამხანაგი დაილიტი, სარჩუპი და რეზგალი. ორი მათგანი იმისთვის რომ მათი ძმები წითელგვარდიაში არიან. უკანასკნელი იმისთვის რომ მისი შვილი აღმასრულებელ კომიტეტის წევრათ იყო.

ლიონი, აპრ. 2. ამერიკის რადიო აღნიშნავს, რომ ბელა-კუნიმ წინადადება წამოაყენა რომ თითეულმა მოკავშირე სოციალისტურმა რესპუბლიკებმა რუსეთმა, უნგრეთმა და უკრაინამ ერთი მეორეს ხელი უნდა შეუწყონ მატერიალურათ და დაეხმარონ მეზობელ ბურჟუაზიულ რესპუბლიკების იმპერიალისტურ მისწრაფების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეები შერიგების გზას დაადგენ. იმის მაგიერ რომ რუმინიის ჯარის სარეორგანიზაციოთ გაეგზავნათ გენერალი მაკინზენი, მათ ბუდაპეშტი გაგზავნეს ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად გენ. სმეტსი. შემდეგ რადიო იუწყება, რომ რუმინიის და პოლონეთის ჯარს არა აქვს სამყოფი ტანთსაცმელი. მრავალ ჯარისკაცს ჩექმაც არა აქვს.

ორენბურგი, აპრ. 2. უკანასკნელ ხანებში დუტოვის ნაწილებში მღელვარებაა, რადგან მოკავშირეები არ ეხმარებიან და დუტოვი კი ამას ყოველთვის ჰპირდებოდა.

მოსკოვი, აპრ. 2. სადგურ ველიკოლუკის ნიკოლაევის რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა საერთო კრებაზე 2 აპრ. მიიღეს რეზოლიუცია, სადაც პროტესტს გამოსთქვამენ პუტილოვის ქარხნის და „სკოროხოდის“ ფაბრიკის მუშათა შორის მემარცხენე ესერების აგიტაციის გამო. კრება მიესალმება სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას, რომ ერთი თვის განმავლობაში შემოზიდულ იქმნას წითელი ჯარის მიერ მოპოვებული სურსათი და სხვა მასალა. დაადგინეს მოუწოდონ ყველა რკინის გზის მოსამსახურეებს ყოველი ღონე იხმარონ, რათა პროლეტარიატი შიმშილს გადაარჩინოს.

ბუდაპეშტი, აპრ. 3. რევოლიუციონურ მთავრობის საბჭომ გამოსცა დეკრეტი, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების დაარსების შესახებ.

გერმანული პრესა.

გერმანიის გავლენიანი წრეები უარყოფენ ნიუიორკიდან მიცემულ ცნობებს, რომ გერმანიის ელჩი მექსიკაში ფონ-ეკარდი, რომელიც ამ ჟამად ჰოლანდიისკენ მიდის და გზადაგზა ვითომ ამორანგეთში მიდიოდეს კაიზერის სანახავად.

გაფიცვების განახლების გამო, გერმანიის ცენტრალურმა მთავრობამ მაღაროს მუშებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია დელეგატთა კონფერენციამ გადასწყვიტა აპრილიდან გაფიცვა დაიწყოს. კონფერენციის მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი გერმანიის რესპუბლიკას პოლიტიკურ ანარქიაში ჩააგდებს და ეკონომიურად მოსპობს. ეს გაფიცვა, მუშების მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს და საერთო რღვევას გააძლიერებს. მას შედეგათ მოჰყვება ქვანახშირის დამუშავების შემცირება 6 საათის სამუშაო დღის შემოღებით და ხელფასის მეტის მეტად გაძვირებით შესწყდება მუშაობა ყველა სამრეწველოში, რომლებიც რურის რაიონიდან იღებდენ ქვანახშირს. ფასი დაეკარგება ჩვენ ცდას, რომ უზრუნველ ყოფილიყო გაზიდვა სურსათის რაშიაც საჭირო ნაწარმოებთა და ქვანახშირის გაზიდვაში ჩაღებული ფული უნდა მიგვეცა. მთავრობა რომელიც ასეთ პირობებს მიიღებდა, თავისუფალ რესპუბლიკის მესაფლავე იქნებოდა ცენტრალური ხთავრობა ეხლაც, როგორც წინათ მაღაროს მუშებთან თებერვალში დადებულ შეთანხმებას იცავს. მაშინ მუშათა საბჭოებთან დადებულ ხელშეკრულებაში ჩვენ მივიღეთ სოციალიზაციის კანონი მაღაროების სოციალიზაციასთან ერთად და ბოლოს შემოღებულ იქნა $7^{1}/_{2}$ საათის სამუშაო დღე. შეუძლებელია პოლიტიკის წარმოება, რომელიმე მართველობის შემოღება და ან რაიმე სასურსათო სისტემა თუ შეთანხმების ძირითადი დებულებანი რამდენიმ დღეში გაუქმდება. დაფუძნებული კრება სრულიად მიუღებელ მოთხოვნილებებს წამოაყენებდენ ამიტომ ცენტრალურმა მთავრობამ სახელმწიფოს და ხალხის გადასარჩენათ პრუსიის მთავრობასთან ერთად გადასწყვიტა რურის ოლქში საალყო წესები გამოაცხადეს. იქ იგზავნება მთავრობის ჯარი ტერორისაგან მუშათა და სამრეწველო დაწესებულებათა დასაცავათ. მოკავშირეთა მიერ ბრიუსელში წამოყენებულ მოთხოვნილებათა თანახმად ცენტრალურ სასურსათო უწყების მინისტრი არც ერთ გირვანქა სურსათს არ გაუშვებს იმ ადგილებში სადაც გაფიცვებია. შრომის მინისტრი პირობას არ იძლევა, რომ მუშებს გაფიცვის დროს ჯამაგირი მიეცემათ გერმანიის ცენტრალურმა მთავრობამ უნდა გადაარჩინოს მთელი გერმანიის ხალხის არსებობა.

დანციგი საერთაშორისო ნავთსადგურად.

ნეიტრალურ პრესის ცნობებმა დანციგის საერთაშორისო ნავთსადგურათ გამოცხადების შესახებ გერმანიაში აუარებელი ახალი პროტესტი გამოიწვია.

ინგლისური პრესა

ბრძოლა ბოლშევიკებთან.

ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ ფოშის გეგმა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საბოლოოთ უარყვეს. ოთხთა სამხედრო საბჭო იხილავს ახალ პროექტს, რომელიც უთუოდ მიღებულ იქნება, რადგან მის სასარგებლოთ ლაპარაკობს ინგლისის და ამერიკის მისია და ოფიციალური თანხმობა განაცხადეს იტალიის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა. აზრათა აქვთ რუსეთს ისე მოექცენ, როგორც ბელგიას. უნდა შესდგეს კომისია, რომელიც მოაწესრიგებს დახმარებას ერთ რომელიმე ჩრდილოეთ ნეიტრალურ სახელმწიფოს მონაწილეობით, მაგალითად დანია, რომელიც იკისრებს პასუხისმგებლობას სურსათი და ნედლი მასალის შეტანის და განაწილების შესახებ ასაზრდოებს და სამუშაოს მისცემს რუსეთში მილიონ მშიერს და უმუშევრებს. ეს არ იქნება ქველმოქმედება, რუსები ყველა ამაში გადაიხდიან, როცა აუცილებლობაა ამის იმედი გვაქვს, აიძულებს მათ გამოასწორონ წარსულის შეცდომები.

დანციგი

გერმანელებს დაპირდენ, რომ დანციგში პოლონეთის ჯარის გადმოსხმას არავითარი გავლენა არ ექნება ქალაქის ბედის გადაწყვეტაზე. დანციგის ნავთსადგურის ბედი ჯერ გადაუწყვეტილი არ არის, მაგრამ მოსალოდნელია, რომ იგი თავისუფალ ნავთსადგურად გამოცხადდება. ლლოიდ-ჯორჯის აზრით საკითხის ასე გადაჭრა იქნება ახალი შუღლის დათესა, ახალი ელზას-ლორენის შექმნა. დანციგის საკითხი ჯერჯერობით ღია რჩება. რეინის მხარე და საარის ოლქი, მიუხედავათ საფრანგეთის განცხადებისა, გერმანიას გადაეცემა.

პოლონეთის ჯარის გადმოსხმა დანციგში

დანციგში პოლონეთის ჯარის ძალით გადმოსხმა, რითაც იმუქრება გაზ. „ტანი“, ფას დაუკარგავათა მოკავშირეთა მუშაობას, რომელთაც სურდათ, რომ გერმანიას ეთანამშრომლა მათთან. თუ გერმანიის ნებადაურთველად დანციგში ჯარს გადმოსხავენ და არ იქნება მოცემული გარანტია გერმანიის სუვერენულ უფლებათა ხელშეკრულების შესახებ, ეს აშკარად იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საფრანგეთს ფართე იმპერიალისტური გეგმა ჰქონია, გერმანიისთვის კი ეს ნიშნავს სამტრო მოქმედების გადახლებას. ამას შედეგათ მოჰყვება ყველა იმ ვალდებულებათა გაუქმება, რომელიც სამართლიან ზავის იმედით გერმანიამ იკისრა მოკავშირეთა წინაშე.

ვილსონი

ოფიციალურად უარყოფენ იმ ხმებს, რომ ვილსონი ამერიკაში წასვლას აპირებს.

გერმანია-საფრანგეთისთვის

ფოში 2 დღის განმავლობაში ეკამათებოდა გერმანელებს, რათა საფრანგეთისთვის სასარგებლო შედეგისთვის მიეღწია. გერმანელებს მიაღებინა თავის მთავარი მოთხოვნილებათაგანი სახელდობრ ის, რომ ნეიტრალური ზონა 50 კილომეტრის მანძილისა უნდა იყოს რეინის აღმოსავლეთით. ეხლა გადაწყვეტილი, აგრეთვე, რომ საფრანგეთს უფლება ეძლევა ქვანახშირი, მინერალური სიმდიდრე დაამუშაოს საარის ოლქში.

ეპიდემიური სნეულებები და ქართველ ექიმთა საზოგადოება

13 მარტს მოხდა საგანგებო კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა. მსჯელობის საგანი იყო ეპიდემიური სნეულებების გავრცელება ქ. თბილისში და სრულიად საქართველოში ქალაქის სასანიტარო ინსპექტორი, შ. მიქელაძე მოახსენებს კრების შესახებ წინწკლოვანი სახადის მსვლელობისა თბილისში. მისი სიტყვებიდან ჰჩანს, რომ ამ უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში ეპიდემია არ კლებულობს. 1 მარტიდგან 9 მარტამდე საქალაქო და საპყრობილის საავადმყოფოებში, აგრეთვე გერმანულს ჰოსპიტალში საერთო რიცხვი ახლად მიღებულ ავადმყოფებისა უდრის 614-ს, კერძო ბინებზე აღმოჩენილა 160, მაშასადამე 9 დღის განმავლობაში ყოფილა სულ 721 ავადმყოფი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ავადმყოფთა რეგისტრაცია ჯეროვნად არ სწარმოებს, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთი მესამედი ავადმყოფებისა რეგისტრაციის გარეშე რჩება. ეპიდემიის გაჩენის ერთ-ერთ მიზეზად მომხსენებელი სთვლის ბოლშევიკების შემოხიზვნას. მათი წამლობა ქალაქს დააწვა თავზე. მთავრობა ვერ ახერხებს ახალი ბარაკების დაარსებას. გადასაზიდი საშუალებანი წესიერად არ მუშაობენ. დეზინფექცია არაა ჯეროვნად მოწყობილი. ერთი სიტყვით მოხსენებიდგან სჩანს, რომ ქ. თბილისის სანიტარული მდგომარეობა მეტად უმწეო და სახიფათოა და, თუ არ იქნა მიღებული საჭირო ზომები, ქალაქის მცხოვრებთ დიდი უბედურობა მოელით.

რესპუბლიკის სასანიტარო განყოფილების უფროსი, ექ. ელიაშვილი მოახსენებს კრებას ეპიდემიის შესახებ

რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში. მისი სიტყვით პროვინცია ნაკლებად აწვდის სტატისტიკურ ცნობებს სასანიტარო განყოფილებას. ცნობებია, რომ ეპიდემია წინწკლოვანი სახადისა მძვინვარებს ლეჩხუმისა და სოჭის მაზრებში, განსაკუთრებით რკინის გზის რაიონებში. ძლიერ არის გავრცელებული სახადი აგრეთვე ხაშურსა და მურამში. გორის მაზრის პატარა სოფლებში და თვით ქ. გორში, განსაკუთრებით კი ბორჯომში და ბაკურიანში წინწკლოვანი სახადის ეპიდემიას მიუღია სტიქიური ხასიათი. ექ. თიკანაძე მოახსენებს კრებას სამხედრო ჰოსპიტალის შესახებ. უკანასკნელში 13 მარტს 190-მდე სახადიანი ავადმყოფი ყოფილა. ექ. მახვილაძეს სიტყვით ამ ეპიდემიის დროს სამხედრო ჰოსპიტალში 600-მდე სახადიანი ავადმყოფმა გაიარა. ავად გამხდარა სახადით 3 ექიმი და 6 მოწყალების და. ექ. კანდელაკი მიაქცევს კრების ყურადღებას ბაკურიანის რაიონზე, სადაც აუარებელ ლტოლვილებს მოუყრიათ თავი. ნაწილი მდინარის პირზე დაბინავებულა. ბევრნი იხოცებიან. დახოცილები დაუმარხავნი რჩებიან. არ დარჩა არც ერთი სოფელი ბაკურიანის რაიონში, სადაც კი სახადის ეპიდემია არ მძვინვარებდეს. არავითარი საექიმო დახმარება იქ არ არსებობს. გაფუჭებულია კანალიზაცია, წყალსადენი მილები. ბორჯომში მოწყობილია 60 საწოლიანი საავადმყოფო, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. თუ ბაკურიანის რაიონში, ამბობს მომხსენებელი, არ იქნა მიღებული სასწრაფო სახელმწიფოებრივი ზომები, გაზაფხულზე იქ უეჭველად იფეთქებს საშინელი ეპიდემია ხოლერისა და დიზენტერიისა. ექ. მეუნარგიის სიტყვით ექიმთა მობილიზაციას ყველაზე ცუდად ჩაუვლია ქ. თბილისში. აქ გამოცხადებულა მხოლოდ 7 კაცი. სამაგიეროთ ქუთაისის გუბერნიამ მოგვცა 32 ექიმი. ექ. რუხაძე კითხულობს: მიღებულია თუ არა რაიმე ზომები ექიმთა იძულებითი მობილიზაციისათვის. მთავრობის საგანგებო რწმუნებული ექ. გოპაძე მოახსენებს კრებას, რომ მისი წინადადებით მთავრობამ დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელიც მიიღებს საჭირო ზომებს ექიმთა მობილიზაციისათვის.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია.

მოისმინა რა მოხსენებები ქალაქის სასანიტარო ინსპექტორისა, რესპუბლიკის სასანიტარო განყოფილების უფროსისა და საგანგებო რწმუნებულისა, ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საგანგებო კრება სცნობს:

1) რომ მთლად საქართველო და კერძოდ თბილისი ეპიდემიის მხრივ მეტად სახიფათო მდგომარეობაშია და, თუ მთავრობის მიერ არ იქნა მიღებული სასწრაფო და ამავე დროს რადიკალური ზომები, ხალხს აუცილებლად დიდი უბედურობა მოელის.

2. საჭიროა შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე, რათა ლტოლვილები და ბოლშევიკები, რომელნიც მთავარი მიზეზები არიან ეპიდემიის გაჩენისა და გაძლიერებისა, გაყვანილ იქნან ქ. თბილისიდგან და თვით რესპუბლიკის საზღვრებიდგანაც.

3. უნდა იქნას მიღებული ზომები სასმელი წყლის გასაწმენდათ და საზოგადოთ ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

4. უნდა მიღებულ იქნას ზომები ექიმთა მობილიზაციისათვის. მთავრობის მიერ დანიშნულ სამობილიზაციო კომისიაში სასურველია ექიმთა პროფესიონალურმა კავშირმა იქონიოს თვისი წარმომადგენელი.

5. აუცილებლად საჭიროა გადამდებ სნეულების საწინააღმდეგო შრატის შეძენა. ამ მხრივ მთავრობამ უნდა იკისროს ფინანსიური დახმარება.

6. საჭიროა დაარსდეს სპეციალური ერთდროული სასანიტარო გადასახადი მთელ საქართველოში. ექიმთა საზოგადოების აზრით სასანიტარო საქმის მოგვარება დღევანდელ პირობებში არის სახელმწიფოებრივი საქმე, რომელშიც მართებლობა აუცილებლად უნდა ჩაერიოს.

ხსენებული რეზოლიუცია ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა პრეზიდიუმმა უკვე აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქის გამგეობას.

ექ. მ. წინამძღვრიშვილი.

ნავთის საკითხი

ნავთის მრეწველთა ყრილობის საბჭომ დაადგინა მდგომარე წლის 1-ლ მარტიდან აღერბეიჯანიდან გატანილ ნავთეულობაზე გაადიდოს ფასები. ამის გამო საქართველოს რკინის გზის წარმომადგენელმა ვ. ჩაჩიბაიამ შემდეგი პროტესტი განუცხადა აღერბეიჯანის მთავრობას:

„ვიღებ რა მხედველობაში, 1) რომ საქართველოს რკინის გზა შეადგენს ნახევარზე მეტ მანძილს პირდაპირი გზას ბაქო-ფოთი-ბათუმს შუა და ამ გვარათ ისევე, როგორც აღერბეიჯანის რკინის გზა, საქართველოს გზაც ხელს უწყობს ბაქოს ნავთის წარმოებას, ხელს უწყობს ნავთის ტრანზიტს და აგრეთვე შემოაქვს საზღვარგარეთიდან წარმოებისთვის საჭირო მასალები; 2) ტრანზიტის გასაადვილებლად და საერთოდ ბარგის გადაზიდვისათვის საქართველოს რკინის გზებმა აღერბეიჯანის რკინის გზასთან ერთად შემოიღო ტარიფი და მიიღო საქართველოს მთავრობამ აღერბეიჯანის მთავრობისაგან რწმუნება, რომ საქართველოს საჭიროებისათვის შემოტანილი ნავთი განთავისუფლებულ იქნას ყოველგვარ გადასახადებისაგან; 3) საქართველოს რკინის გზები დიდ დეფიციტს იძლევა და თუ ზედ დაერთვის მას ნავთის გადასახადიც, მოძრაობა გაძნელდება და ეს კი გამოიწვევს ტარიფის გადიდებას გადასაზიდავ საქონელზე; 4) და ის შემოსავალი, რომელიც გადახდება საქართველოს ნავთზე, სრულიადაც ვერ შეედრება იმ ზარალს, რომელიც მოუვა ბაქოს ნავთის მრეწველობას, რადგანაც ნავთზე დიდი ფასების დადება სრულიად არევ-დარევს ტრანსპორტის საქმეს და 5) ფასების მომატებით დარღვეულია ტრანზიტის ხელშეკრულების მე-3 მუხლი, რომელიც დადებ-იქნა საქართველოს და აღერბეიჯანს შორის 1918 წ. 28 დეკემბერს.

გთხოვთ საქართველოს რკინის გზის სამინისტროს სახელით არ მოუმატოთ ფასები იმ ნავთზე, რომელიც ესაჭიროება საქართველოს რკინის გზებს და გთხოვთ აგრეთვე ეს ჩემი განცხადება წარუდგინოთ ნავთის მრეწველობის პირველსავე საზოგადო კრებას“.

ქართველი ლტოლვილები

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ წარუდგინა საქართველოს ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტს შემდეგი მოხსენება ქართველ ლტოლვილთა შესახებ გორის, დუშეთის და თიანეთის მაზრებში. მოხსენებაში ქართული საქველმოქმედო საზოგადოება რეგისტრაციას უწევს საერთოდ იმ ლტოლვილთ, რომელნიც იღებენ დახმარებას საზოგადოებისაგან. ამ ქამათ, თანახმად საზოგადოებისა, ლტოლვილნი; სცხოვრობენ ქალაქის სხვა და სხვა უბნებში—ზოგნი ქალაქის მიერ დათმობილ სახლებში, ზოგნი კიდევ საზოგადოების მიერ დაქირავებულ სახლებში.

1) სვიატოპოლკმირსკის ქ. სახლი № 6—78 სული; 2) მატერიალური ქ. № 9—60 სული 3) ვაგზლის ქ. სასტუმრო „ივერია“ 15 სული; 4) ხარფუხის სკოლა თავშესაფარი ლტოლვილი ბავშვები 50 სული; 5) საზოგადოების თავშესაფარი მთაწმინდის ქ. № 18—20 სული; ამათ გარდა საზოგადოებასა ჰყავს გარედან მოსიარულე ლტოლვილები, რომლებიც იღებენ პურით დახმარებას ნახევარი გირ. სულზე და განსაკუთრებულ შემთხვევებში ფულითაც, ასეთები არიან 377 სული. ზემო აღნიშნული 600 კაცი იღებენ ყოველდღიურ დახმარებას ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისაგან.

სულ თბილისში მცხოვრები ლტოლვილნი, რომლებიც სარეგისტრაციო ფურცლებში არიან შეტანილნი, უდრის 2,325 სულს.

თანახმად ქარ. საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულის ცნობით ბორჯმსა და მის ხეობაში ამ ქამად იმყოფებიან ახალციხისა და ახალქალაქის ლტოლვილნი, ორივე სქესისა, დაახლოვებით 1,500 სული, ამათში ძალიან გაჭირვებულნი არიან და საჭიროებენ სწრაფულ დახმარებას 1000 სული. აგრეთვე ქ. გორში იმყოფება 5-მდე ლტოლვილი, რომელთათვისაც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას დაუხარჯავს ოცი ათასი მანეთი (20,000 მ.) წარსულ წლის დეკემბრამდე. მას აქეთ, თანხის სიმცირის გამო არავითარი დახმარება გორში არ გაუწევია საზოგადოებას. რაც შეეხება ბორჩალოს მაზრაში მყოფ ლტოლვილებს ამ ქამათ დაწვრილებით არ არის გამორკვეული ცნობები, ვინაიდან ლტოლვილებზე ზრუნვა დაკისრებული ჰქონდა ამ მაზრაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებულს ალ. ლორთქიფანიძეს.

ტრფობა ნაძმგული

(ისტორიული რომანი)

39.

ვერ შესძლო ჭირთა ვარამ ვერც ძლიერმა აშოტმა: ჭირმა თავი არ დამალა. მოესურვილდებოდა მზის შვილს ნახვა შუქურისა, ისე მოსწყურდებოდა, ვით უდაბნოში მოგზაურს წყალი. ვეღარ ითმენდა სინამდვილეშიც არ ენახა იგი პირიმზე, რომელი მარად მასთან იყო ნატვრათ არეში, ფიქრთა სამფლობელოში. ეხლა შეძლებაცა ჰქონდა ზედი-ზედ ენახა მას იგი ქალი: პაატა უკვე არტანუჯში ცხოვრობდა, მეფის სასახლის მახლობლად. ავად იყო იგი, შემძიმებული. თანაგრძნობა ეჭირვებოდა მზრუნველთა თუ მახლობელთაგან. კეთილი მეფე პირველი ჭირისუფალი იყო მისი, სიკეთის დამხსომებელი, მადლობის მახორციელებელი. შევიდოდა პაატასას, მოიკითხავდა ავადმყოფს, გამოჰკითხავდა ექმის განწირულის მდგომარეობას; ნუგეშსა სცემდა შეჭირვებულთ; მათ ჩალამებულ სახლში შუქი მზისა შეჰქონდა მზის შვილს. არც თითონ გამოდიოდა იქიდან მთლად უნუგეშოდ, მისი ქველმოქმედება უხვ-სასყიდელსა ჰპოვებდა ავადმყოფის სავანეში: შუქურს ჰნახავდა, მის ხმას ისმენდა, მისგან მიწოდებულ წყალს მიირთმევდა. ერთს წუთს მაინც დაუშუშდებოდა წყლული გულისა, ჩაუნელდებოდა ერთს წამს სახმილი მწველი.

ეჰ, მხოლოდ ერთს წამს! გასცილდებოდა კარის ბჭეს, სურვილი უფრო აღეგზნებოდა და თვის ალში სწვავდა ვაჟკაცის ნებისყოფას, აძაბუნებდა მის უნარს ბრძოლისას, საკუთარ თავთან მედგარ ომისას. მზა იყო იგი ისევ მიბრუნებულიყო, ერთი კიდევ განეცადა სახე სასურველი.

უკვირდა აშოტს: ყველა ნახვაზედ ახალ-ახალი სიმშვენივრეს პოულობდა ქალის არსებაში, სულის სიკეთეს თუ ხორცთ სილამაზეს, ნაქანდებ რამ სისრულეს ღვთაებურს. ესეთი განცდა უმეტეს აგზნობდა მის სურვილს, ბაბილონის სახმლის ალატყინებდა მის ბუნებაში; მისწურავდა ვაჟკაცს რაიმე საკვირველ ქცევადმდე, შეუფერებელ მოქმედებადმდე დაბრძნობილ ვაჟკაცისთვის, მეფისათვის კეთილგანმგებლისა. ესეთი გრძნობა მით უფრო ძნელი იყო აშოტისათვის, რომ ჰხედავდა ის მოახლებას ისეთის წუთისას, როცა მთლად დაიმსხვრეოდა მისი ნებისყოფა, ამაო შეიქნებოდა ყოველივე ბრძოლა თუ წინააღმდეგობა, გადაჰქეთქავდა საგუბარს ვნებათა ტბა უძირო და წაჰლეკავდა ყოველსავე სიფრთხილეს, მოსაზრებას შემაკავებელს, ადათს წმიდად მიჩნეულს, კანონს მტკიცედ დაფუძნებულს, ძრწოლით ელოდდა ამ საშინელ წუთს, პირად იმისთვის ედემის განმხსნელს, სხვის აზრში მის შეურაცხმყოფელს, დამამარცხებელს, დამამცირებელს.

თვის ძნელ ყოფაში ის უფრო აწუხებდა გამიჯნურებულს, რომ შუქურს თითქო ვერ ეგრძნო ცეცხლი, რომელიც აღეგზნო მას რაინდის გულში; არ სჩანდა ეს, არ ეტყობოდა. ვერ შეეგნო ქალს, რომ მის წინაშე აშოტი მეფე კი აღარ იყო გვირგვინოსანი, მიჯნური იყო მოჯადოვებული, სატრფოის ნების მასრულებელი, მის სასიამოდ მსხვერპლთა მწირველი. ქალს ვერ გაეგო ეს საკვირველი ცვლილება ვაჟკაცის ბუნებაში მომხდარი, და მის ქცევაში თუ შეხედვაში ისევ მხოლოდ უსამზღვრო თაყვანისცემა იხატებოდა ზეკაცის მიმართ, განცვიფრება კაცთმეფერთის წინაშე. ესე ყოველთვის!

— ვერ იქმნა, ვერ შევნიშნე მის თვალებში ცეცხლი ეშხისა, სურვილთა ალი, ვნებათა ღელვის რაიმე ტალღა! ნუ თუ ვერ მიჰხვდა იგი უმწიკვლო, რა სურვილთა კოცონი დააგზნო ჩემს საწყალ გულში?! ან თუ მთლად ფაქიზია მისი ბუნება, სპეტაკი, წმიდა და ხორცთა სწრაფვა ვერ შესთვისებია მის ქალწულობას ბიწ-შეუხებელს?!

— ეგრეა სწორედ! მეუღლეა იგი კაცისა, გარნა არსება მისი ისევ ქალწულია, ბიწ შეუხები, შეუბღალავი.

— სრულებითაც არ აღბეჭდვია ლამაზ სახეზედ ცოდვათ ხატება, ბეჭედი კრძალულ ნაყოფის გემოდღებისა; ჯერ არ შემოსძარცვოდა შუქთა სამოსი, რომელი ჰფარავს ასულს ევასი ვნებათა უძლეველ ძლიერებისაგან...

— რას ამბობ, ხელო?! სხვისა ცოლია იგი შუქური, სხვის ხელნახლები თუ შელახული.

— ვაჰ, ჩემს ლამაზს ვეშაპი დაჰპატრონებია, შეუპყრია შავბნელს, შემოჰხვევია. ჩემი ხმალი კი...

— უძლურია შენი მარჯვენა მის წინაში, ვერ აღიმართება მახვილი შენი მის გასაგმირად: ის ხომ პაატა არის შენი თანამოლვაწე, შენთვის სიცოცხლის არ დამზოგველი და...

— მაინც გავგმირდი, ბასრით გაუკვეთდი გულს ჩემის გულის ყვავილის მფლობელს, თუ ბუნებას არ დაესწრო ეს ჩემთვის: ამ ქვეყნად მცხოვრები აღარ არის ის, სხვა გზა აქვს; სიკვდილი დაუფლებია მას, აღარ გაუშვებს თავის ფოლადის ბრჭყალებიდან, სთქვა მეფემ.

და დაღონდა: ვერ შეჰრიგებოდა იმ ამბავს, რომ უბედურება პაატასი, რომელი ოდესმე რაინდულად უყვარდა მას, რომლისადმი მთელი თვისი არსებით იყო იგი მინდობილი, რომლის მიმართ მის გულს არაოდეს უგრძნია ძვირი, არც თუ ნასახი ბოროტებისა, რომ პაატას ბნელი ბედი ეხლა სიხარულის შუქსა ჰბადებდა მის გულში. იმასაცა ჰხედავდა განცვიფრებული: თუ ბუნება არ დაჰხმარებოდა მოერიდებინა გზიდგან ეს დაბრკოლება, თითონ განსწმედდა შუქურისაკენ მიმავალ კვალს ჩახერგილს. არ დაინდობდა არც ძმობილს! ვერ შესძლებდა დანდობას, თუნდაც მიემართა მთელი თვისი ძალებისათვის, მთელი თვის ნებისყოფისათვის. გამიჯნურებულ აშოტ შმაგს ველარ დასძლევდა აშოტ გამსჯობი, დინჯად მოაზრე.

მოაგონდა ღელვილს თვისი შორეული წინაპარი დავით. განიცადა იმანაც ესეთი გრძნობა და ვერ შესძლო ბრძოლა მის წინააღმდეგ, ემონა იგი თვის ვნებას უძლეველს.

— როგორ იყო ის ამბავი, ხუცესო?

— „ვიდოდა დავით ერდოთა ზედან სახლისა სამეფოისა და იხილა დედაკაცი ერდოით, რომელი იბანებოდა. იყო დედაკაცი იგი შესახედვად ფრიად კეთილი. წარავლინნა მსახურნი და მოიყვანეს დედაკაცი იგი ბერსაბია, ცოლი ურია ქეტელისა, და შევიდა მისდა. და მიუწერა დავით წიგნი იოაბს მხედართმთავარსა თვისსა: შეიყვანე ურია პირისპირ ბრძოლისა ძლიერისა, რათა იწყლას იგი და მოკვდეს. დაადგინა იოაბ ურიაი იგი ქეტელი ადგილსა ზედან განსაცდელთასა. გამოვიდნენ კაცნი ბრძოლად და მოკლეს მუნ იგი“.

— მისთვის მომწონხარ, ხუცესო ჩემო, განსწავლილი ხარ მწიგნობრობაში!

— მისთვის თაყვანს გცემ, მეფეო ჩემო, უკლებლივ იცი ხმარება საჭურველისა! წიგნი სამღთო იარაღია ჩემი...

— ვნებათ მონისა შენისა დავითისა განახლებულ არს გვამსა ჩემსა, მეუფეო ჩემო; დამიფარე ცოდვისაგან მისისა. ვუწყი მე უსჯულოებაი ჩემი და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შედრკა ძალაი ჩემი და უძლურ ვიქმენ წინაშე საცთურისა ამის უძლეველისა. მსურის ფრიად! მოაკლდების სულსა ჩემსა ძალი ბრძოლისა. მიხსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო! სულისა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან! ილოცვიდა აშოტი.

გარნა იცოდა, ვერვინ და ვერარაი იხსნიდა მას სისხლთაგან: განძვინებული ნებისყოფა მისი სისხლს დაჰლვრიდა მისას, ვინ დააბრკოლებდა მას ამ მისთვის აუცილებელ მისწრაფებაში. ძლიერი იყო იგი სიყვარული, რომლით განმსჭვალული იქმნა აშოტი. უძლეველ იყო იგი, ვითარცა სიკვდილი; ფიცხელ იყო შური სიყვარულისა მის, ვითარცა ჯოჯოხეთი. ალი სიყვარულისა მის—ფრთაი ცეცხლისა!

ღმერთს მაინც უყვარდა აშოტი მაშინაც კი, ოდეს გული უთქმიდა მას ცოლისათვის მოყვასისა თვისისა: მისი განგებით გზა თავისთავად ხსნილ ექმნა ტრფიალს. იხსნა უფალმა მარჯვენა მისი სისხლთაგან უბრალოთა: სიკვდილმა დროზედ უსწრო გულდაკოდილ ჭაბუკს, ცხოვრებისაგან განამებულსა; არ ჩაიტანა საფლავში შური სიყვარულისა უნელებელი.

ნდომით შეირთო პაატამ შუქური. ეგონა ბედშავს, ტკბილად შეაბერდებოდნენ ერთმანეთს—მუხთალმა ბედმა არ გაახარა ვაჟკაცი: გადაეგო იგი უშურაზოდ, უძეოდ; აღგზნებული ეშხი ჩაიტანა ცივ სამარეში. ახ, რა ენანებოდა ვაჟკაცს თვისი საუნჯეების ქვეყნად დატოვება: სათნო შუქურისა და სისხლში ნაწრთობ ხმალისა! მომაკვდავს ხელიდან არ გაუშვია არც ხმლის ვადა, არც მეუღლის. მთრთოლარე თითები; ორივეს მოწიწებით ემთხვია უკანასკნელ წუთს თვისის სიცოცხლისა.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

12 აპრილი

„საქართველოს“ რედაქციის

მხატვრული საღამო

სურათები, საუკეთესო

შარჟები, არტისტიული

ახალი სანახაობა ქალების კონცერტი

პოლიტიკური და ლიტერატურული

თბილისი საღამოს კედლებზედ.

დიასახლისი: ქ-ნი ნინო გვაზავა.

პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის პასაჟში მაღაზია № 20

გაიხსნა სპეც. საათების, საჯავაირჩო და საჩუქურთმო

სახელოსნო

ყოფილ სამხედრო მესაათის

მიხეილ ნიკოლოზის ძე გინკინისა.

ყოველი შეკვეთილი საქმე კეთდება საჩქაროდ, სუფთად და ხელმისაწდომ ფასებში. 5—45—1

ქართული აქციონერულ საზოგადოების „ოქროს ვერძი“-ს გამგეობა ამით აცხადებს,

რომ კვირას ამა წლის 4 მაისს, დილის 11 საათზე, გამგეობის დარბაზში (ქ. ფოთი, ლიალინის და მიხეილის ქუჩების კუთხე, ციციაშვილების სახლი)

დანიშნულია საზოგადოების აქციონერების წლიური კრება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი კითხვები:

1) წესდების § § 4, 6, 8, 12, 17, 26, 32, 41 და 57 შეცვლა.
2) განხილვა წლიური ანგარიშისა და დივიდენდის განაწილება.
3) გამგეობის ორი წევრის არჩევა.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ თუ რაიმე მიზეზით დანიშნულ დღეს, 4 მაისს, კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში კრება უნდა ითვლებოდეს მოწვეულათ იმავე დროზე და ალაგას მეორეთ, კვირას 18 იმავე მაისს.—

(2—2266—2)

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დილ 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დღის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1

7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

ჭეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სახსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 12 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—32

სტამბა კავშირისა, გაზეთის შესახვევი № 4.